

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №30

18.12.2018 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, გიორგი დოხტურიშვილი, თარაშ შურღაია, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ბექა დავითულიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ეკატერინე ცეცხლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834875-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834875-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01183231292-67; №0118242469 და 01182532633-67; №01183173669-67; №01182613042-67 და 01182902316-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 4 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი - ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.10.18.006.218; 01.10.18.006.142; 01.14.17.001.218; 01.10.18.005.040; ფართობი: 90 378 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ზონის ცვლილების შესახებ (№01183231292-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01183231292-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.10.18.006.218; 01.10.18.006.142; 01.14.17.001.218; 01.10.18.005.040; ფართობი: 90 378 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.218; ნაკვ. №01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურო აუზი და ა.შ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის №329 განკარგულებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი - ქ. თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ საკადასტრო ერთეულებზე, საერთო ფართობით: 242417 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ზონის ცვლილების შესახებ (№0118242469 და 01182532633-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №№0118242469 და 01182532633-67 განაცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.02.19.589; 81.02.19.610; 81.02.19.615; 81.02.19.612; 81.02.19.613; 81.02.13.965; 81.02.19.618; 81.02.19.619; 81.02.19.620; 81.02.19.621; 81.02.19.622; 81.02.19.623; 81.02.19.624; 81.02.19.625; 81.02.19.626; 81.02.19.627; 81.02.19.628; 81.02.19.779; 81.02.19.780; 81.02.19.781; 81.02.19.782; 81.02.19.783; 81.02.19.784; 81.02.19.785; 81.02.19.786; 81.02.19.787; 81.02.19.788; 81.02.19.789; 81.02.19.790; 81.02.19.791; 81.02.19.792; 81.02.19.793; 81.02.19.794; 81.02.19.795; 81.02.19.796; 81.02.19.797; 81.02.19.798; 81.02.19.799; 81.02.19.800; 81.02.19.801; 81.02.19.805; 81.02.19.806; 81.02.19.807; 81.02.19.808; 81.02.19.809; 81.02.19.810; 81.02.19.811; 81.02.19.812; 81.02.19.813; 81.02.19.814; 81.02.19.815; 81.02.19.816; 81.02.19.817; 81.02.19.818; 81.02.19.819; 81.02.19.820; 81.02.19.821; 81.02.19.841; 81.02.19.842; 81.02.19.843; 81.02.19.844; 81.02.19.845; 81.02.19.846; 81.02.19.847; 81.02.19.848; 81.02.19.849; 81.02.19.850; 81.02.19.851; 81.02.19.852; 81.02.19.854; 81.02.19.855; 81.02.19.856; 81.02.19.857; 81.02.19.858; 81.02.19.859; 81.02.19.743; 81.02.19.106; 81.02.19.048; 81.02.19.420; 81.02.19.605; 81.02.13.452; 81.02.13.447; 81.02.19.713; 81.02.13.480; 81.02.19.086; 81.02.13.418; 81.02.19.546; 81.02.19.133; 81.02.13.626; 81.02.13.763; 81.02.13.974; 81.02.94.506; 81.02.19.105; 81.02.13.640; 81.02.13.465; 81.02.13.818; 81.02.19.062; 81.02.13.810; 81.02.13.982; 81.02.93.267; 81.02.13.639; 81.02.13.780; 81.02.13.406; 81.02.13.403; 81.02.19.072; 81.02.13.405; 81.02.13.606; 81.02.19.109; 81.02.13.603; 81.02.19.084; 81.02.13.407; 81.02.13.977; 81.02.19.104; 81.02.13.962; 81.02.13.453; 81.02.19.109; 81.02.13.603; 81.02.19.084; 81.02.13.407; 81.02.19.104; 81.02.13.962; 81.02.13.453; 81.02.19.059; 81.02.19.058; 81.02.19.036; 81.02.19.035; 81.02.19.037; 81.02.19.128; 81.02.19.127; 81.02.19.126; 81.02.19.125; 81.02.19.552; 81.02.13.960; 81.02.19.042; 81.02.19.124; 81.02.19.123; 81.02.19.122; 81.02.19.121; 81.02.19.120; 81.02.19.119; 81.02.13.458; 81.02.13.461; 81.02.13.459; 81.02.13.463; 81.02.13.462; 81.02.19.080; 81.02.19.082; 81.02.19.752; 81.02.13.454; 81.02.19.742; 81.02.13.423; 81.02.13.446; 81.02.19.579; 81.02.13.608; 81.02.13.975; 81.02.19.069; 81.02.13.772; 81.02.13.975; 81.02.13.771; 81.02.13.469; 81.02.19.648; 81.02.19.088; 81.02.13.888; 81.02.19.108; 81.02.13.944; 81.02.13.422; 81.02.19.040; 81.02.19.578; 81.02.19.763; 81.02.13.419; 81.02.13.947; 81.02.13.409; 81.02.13.410; 81.02.19.574; 81.02.19.050; 81.02.13.402; 81.02.13.401; 81.02.13.412; 81.02.13.411; 81.02.13.669; 81.02.13.622; 81.02.13.621; 81.02.13.901; 81.02.13.565; 81.02.19.102; 81.02.13.689; 81.02.13.460; 81.02.19.060; 81.02.95.791; 81.02.13.848; 81.02.19.073; 81.02.13.899; 81.02.13.825; 81.02.13.741; 81.02.13.628; 81.02.13.983; 81.02.13.456; 81.02.13.665; 81.02.13.996; 81.02.13.624; 81.02.19.055; 81.02.13.656; 81.02.19.056; 81.02.19.045; 81.02.13.413; 81.02.19.057; 81.02.13.478; 81.02.13.824; 81.02.13.849; 81.02.19.054; 81.02.13.404; 81.02.13.691; 81.02.13.931; 81.02.13.457; 81.02.19.068; 81.02.13.449; 81.02.19.032; 81.02.13.448; 81.02.13.421; 81.02.13.425; 81.02.13.474; 81.02.95.858; 81.02.13.477; 81.02.19.017; 81.02.19.085; 81.02.13.476; 81.02.19.046; 81.02.13.471; 81.02.13.775; 81.02.19.116; 81.02.19.011; 81.02.93.312; 81.02.13.933; 81.02.13.819; 81.02.13.799; 81.02.13.841; 81.02.19.021; 81.02.19.022; 81.02.13.800; 81.02.19.083; 81.02.19.595; 81.02.13.764; 81.02.13.807; 81.02.13.430; 81.02.93.115; 81.02.13.976; 81.02.19.560; 81.02.19.559; ფართობი: 242 417 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, დიდგორის (ყოფილი გარდაზნის) რაიონის სოფ. წაგვისში ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის „წაგვის ველის“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 29 სექტემბრის №01/1321 ბრძანებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავდროულად განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი - ქალაქ თბილისში, კაიშაურის ქუჩა №49-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.019.017) ნაწილზე (ფართობი: 26 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01183173669-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01183173669-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, კაიშაურის ქუჩა №49-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.019.017) ნაწილზე (ფართობი: 26 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის არსებულ ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც 2005 წლის ორთოფოტოზეც არის ასახული. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი - ქალაქ თბილისში, გულიას ქუჩა №1, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.18.09.005.142; 01.18.09.005.141; 01.18.09.005.140; ფართობი: 3452 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№№01182613042-67 და 01182902316-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №№01182613042-67 და 01182902316-67 განაცხადებით, ქალაქ თბილისში, გულიას ქუჩა №1, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.18.09.005.072; 01.18.09.005.058; 01.18.09.005.142; 01.18.09.005.141; 01.18.09.005.140; ფართობი: 4569 კვ.მ.) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი

საგზაო-ინფრასტრუქტურული პროექტის შედეგად საავტომობილო გზა გაფართოვდა და არსებული მდგომარეობით ტერიტორია წარმოდგენს რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი ავტობანის ნაწილს. იმის გამო, რომ №№01182613042-67 განაცხადით, დაინტერესებულ მხარეს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ №№01.18.09.005.142; 01.18.09.005.141; 01.18.09.005.140 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობა, მხოლოდ №№01.18.09.005.142; 01.18.09.005.141; 01.18.09.005.140 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საერთო ფართობი: 3452 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 4 წინადადება - №01183231292-67; №№0118242469 და 01182532633-67; №01183173669-67; №№01182613042-67 და 01182902316-67) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834875-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადების - №01183231292-67; №№0118242469 და 01182532633-67; №01183173669-67; №№01182613042-67 და 01182902316-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01183103688-67; №№01182813767-67 და 01183231949-67; №№16-01181792480 და 06-01182821063-67; №01183343677-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 4 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი - ქ. თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.001.080) მიმდებარედ 163 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების შესახებ (№01183103688-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01183103688-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. არსებული მდგომარეობით, სატრანსპორტო ზონით დაფარული ტერიტორია არ წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილს და რეალურად ფიქსირდება გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზი. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №01183342800 წერილი, რომლითაც ტრანსპორტის საქალაქო სამსახური წინააღმდეგი არ არის გაუქმდეს (შეიცვალოს) სატრანსპორტო ზონა.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - დაინტერესებაში არსებული, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის ცვლილების გამოწვევი მიზეზის ასევე, არსებული სატრანსპორტო გზის (ტზ-1) შესაძლო შევიწროებისა და გამტარუნარიანობის შეზღუდვის რისკების თაობაზე.

ბ-ნი რ. სოხადის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა მომხსენებელმა, ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ, რომლის განმარტებით, დაინტერესებაში არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება განმცხადებელმა (კ. ყოჩიშვილი) მოითხოვა მიწის ნაკვეთის ლეგალიზების (დაკანონების) მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ დაინტერესებული პირი (განმცხადებელი) აღნიშნული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილს ფლობს წლების განმავლობაში და მასზე განთავსებული აქვს ღობე. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა 2005 წლის ორთოფოტოს მეშვეობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ტერიტორიაზე გზა არ ფუნქციონირებს და დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (თანდართული რუკის) მიხედვით, სამომავლოდ (დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ), აღნიშნულ ტერიტორიაზე რეკომენდებულია საცხოვრებელი ზონის გავრცელება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №01183342800 წერილის თანახმად, სამსახური წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტების მოსმენის შემდეგ, აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა რ. სოხადემ - მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენლების მიერ დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართულ რუკაში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებისა და შესაბამისი ფუნქციური ზონების კონტურების (საზღვრების) დაზუსტების ვალდებულების თაობაზე. ბ-ნი რ. სოხადის განმარტებით, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენლებმა დავალება შეასრულეს და წარმოდგენილი იქნა განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული, დაზუსტებული რუკა, რომლის მიხედვით, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე რეკომენდებულია სატრანსპორტო ზონა 1-ის გავრცელება.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ - ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების შემთხვევაში სატრანსპორტო გზის შესაძლო შევიწროების თაობაზე.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ინტერაქტიული რუკაზე (www.tas.ge) არსებული და კორექტირებული ფუნქციური ზონების გავრცელების არელების შედარებისას, წარმოდგენილი კონფიგურაციით, ფუნქციური ზონის შეცვლის შემთხვევაში, სატრანსპორტო გზა დავიწროვდება 2 მეტრით.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტებით, 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული, დაზუსტებული რუკის თაობაზე ინფორმაცია მისთვის უცნობია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ბ-ნმა რ. სოხაძემ კომისიის წევრებს მიმართა შემდეგი წინადადებით:

№01183103688-67 განაცხადით წარმოდგენილი წინადადების განხილვა გადაიდოს დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებულ იქნას განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ა“ პუნქტით) გათვალისწინებული ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხის (№01183103688-67) განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი - ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი, №5ბ, ქალაქ თბილისი, მეგობრობის ქუჩა №44-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.633) ნაწილზე, 7 320 კვ. მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), სარეკრეაციო ზონა 3-ის (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების შესახებ (№№01182813767-67 და 01183231949-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №№01182813767-67 და 01183231949-67 განაცხადებით, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი, №5ბ, ქალაქი თბილისი, მეგობრობის ქუჩა №44-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.633) ნაწილზე (ფართობი: 7 320 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი

არის საკმაოდ დიდი ფართობის, რომელზეც ფუნქციონირებს დახურული საცურაო აუზი და ზონის ცვლილების შემდეგ გათვალისწინებულია ტერიტორიის განვითარება ფუნქციის უცვლელად, კერძოდ, სპორტული მოედნის და ღია საცურაო აუზის განთავსების მიზნით. დაგეგმილი სამუშაოების გათვალისწინებით, მისაღებია ტერიტორიაზე გავრცელებული რამდენიმე ფუნქციური ზონის (რზ-3, სსზ-3 და ტზ-1) ნაცვლად გავრცელდეს ერთგვაროვანი ფუნქციური ზონა (სზ-2).

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის და ღია საცურაო აუზის განთავსება რამდენად შესაძლებელია ფუნქციური ზონის უცვლელად, სარეკრეაციო ზონა 3-ში?

ბ-ნი რ. სოხაძის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა მომხსენებელმა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ, რომლის განმარტებით, მოქმედი წესების თანახმად (№14-39 დადგენილება 24.05.2016წ.), სარეკრეაციო ზონა 3-ში და საცხოვრებელ ზონა 2-ში დასაშვებია საცურაო აუზისა და სპორტული მოედნის მშენებლობა. მიუხედავად ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა წინადადება მოამზადა და განსახილველად წარმოადგინა განმცხადებლის ((ალ. ნიკოლაიშვილი) მოთხოვნის შესაბამისად.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტების მოსმენის შემდეგ, აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ და ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ფუნქციური ზონების ცვლილების გარეშე შესაძლებელია განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება, რის გამოც მიზანშეწონილია დაინტერესებულ პირთან (განმცხადებელთან) შეხვედრა და მისი პოზიციის დაზუსტება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, **ბ-ნმა რ. სოხაძემ** კომისიის წევრებს მიმართა შემდეგი წინადადებით:

№01182813767-67 და 01183231949-67 განაცხადებით წარმოდგენილი წინადადების განხილვა გადაიდოს დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე,

სხდომის თავმჯდომარემ, **ბ-ნმა** ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის

მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებულ იქნას განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ბ“ პუნქტით) გათვალისწინებული ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი, №5ბ, ქალაქ თბილისი, მეგობრობის ქუჩა №44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.633) ნაწილზე, 7 320 კვ. მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), სარეკრეაციო ზონა 3-ის (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების საკითხის (№№01182813767-67 და 01183231949-67) განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი - ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.010.041 ფართობი: 26 821 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№№16-01181792480 და 06-01182821063-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №№16-01181792480 და 06-01182821063-67 განაცხადებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.010.041, ფართობი: 26 821 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ხელშეწყობას, შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ რეალურად ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 3 დეკემბრის №18-01183371450 წერილით, საქალაქო სამსახური წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი - ქ. თბილისში, გლდანის I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006;

01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01183343677-67

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01183343677-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, გლდანი I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტო-ვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის დეკემბრის №2109 განკარგულებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონების და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე განსახორციელებული ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ, რადგან ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი განახლებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტების სიაში (მუხლი 72, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“) ასახულია გლდანი-მუხიანის ტერიტორიაზე, ხევძარის ხევში არსებული განვითარებების რევიზიის საკითხი (რევიზიის მიზნად

განისაზღვრა პროექტით გათვალისწინებული კოლექტორის უშუალო სიახლოვეს და მის თავზე გათვალისწინებული მშენებლობების გადახედვა/კორექტირება).

ბ-ნი რ. სოხადის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა მომხსენებელმა, რომლის განმარტებით, განახლებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის სარევიზიო ქალაქმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტების სიაში ასახულ ტერიტორიაზე ჩატარდა შესაბამისი კვლევითი სამუშაოები, რომლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი გარემოებანი, კოლექტორი არის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საკუთრება, რომლის დასკვნის საფუძველზეც, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე განსახორციელებული სამშენებლო სამუშაოები არ შეეხება კოლექტორსა და კოლექტორის მიმდებარე ტერიტორიას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოლექტორის ტერიტორიაზე, კოლექტორის განთავსების მთელ სიგრძეზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 და დაინტერესებული პირი განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს განახორციელებს კოლექტორიდან და კოლექტორისთვის დადგენილი ბუფერული ზონიდან (რომლის რადიუსიც შეადგენს 10 მ-ს) დაშორებით. თავად განმცხადებელი არის დაინტერესებული, რომ კოლექტორისა და მის მიმდებარედ განსაზღვრულ ბუფერულ ზონაში არ განხორციელდეს ფუნქციური ზონისთვის შეუსაბამო განვითარება.

შესაბამისად, იმის გამო, რომ გარდა ზემოაღნიშნული კოლექტორის მიმდებარედ განაშენიანების შეზღუდვისა, სხვა შეზღუდვები განახლებული გეგმის პროექტით არ იყო მითითებული რეკომენდაციებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მხედველობაში მიიღო როგორც განმცხადებლის თხოვნა, ასევე, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასკვნა და წინადადება განსახილველად წარმოადგინა.

მომხსენებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, შეკითხვა დასვეს:

ბ-ნმა რ. სოხადემ და ბ-ნმა გ. ტყემალაძემ - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასკვნის გარდა, სხვა უფლებამოსილი და კომპეტენტური სამსახურებისა თუ ორგანიზაციების დასკვნის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებლის განმარტებით, გარდა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასკვნისა, განმცხადებელს ალტერნატიული დასკვნა სამსახურისთვის არ წარუდგენია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ბ-ნმა რ. სოხადემ კომისიის წევრებს მიმართა შემდეგი წინადადებით:

იმის გამო, რომ საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია დედაქალაქისათვის და საჭიროა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის სარევიზიო ქალაქმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტების სიაში ასახული გლდანი-მუხიანის ტერიტორიაზე,

ხევძმარის ხევში არსებული განვითარების რევიზიის საკითხის დეტალური შესწავლა, №01183343677-67 განაცხადით წარმოდგენილი წინადადების განხილვა გადაიდოს დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებულ იქნას განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ“ პუნქტით) წარმოდგენილი - ქ. თბილისში, გლდანის I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

1. დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის:

- განმარტებითი ბარათის ა“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ა“ პუნქტით) წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხი (№01183103688-67);
 - განმარტებითი ბარათის ბ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ბ“ პუნქტით) წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი, №5ბ, ქალაქი თბილისი, მეგობრობის ქუჩა №44-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.633) ნაწილზე (ფართობი: 7 320 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების საკითხი (№№01182813767-67; 01183231949-67);
 - განმარტებითი ბარათის დ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ“ პუნქტით) წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, გლდანი I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049. ფართობი: 46 647 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი (№01183343677-67).
2. დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „გ“ პუნქტით) წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.010.041, ფართობი: 26 821 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების საკითხის

(სულ: 1 წინადადების - №№16-01181792480 და 06-01182821063-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ერეკლე კუხიანიძე